სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
LEPL KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

ბრძანება № 16

სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების, კონკურსის ჩატარების წესისა და დამატებითი პირობების განსაზღვრის თაობაზე

26 თებერვალი 2020 **ქ. თბილისი**

„მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10^3 მუხლის პირველი პუნქტის, მე-10^7 მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცებისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 26 ივნისის №580 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 2 ოქტომბრის N129/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და „ფ“ ქვეპუნქტისა და მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) გამოცხადდეს კონკურსი სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად შემდეგ სტრუქტურულ ერთეულებში:

ა) კოდიკოლოგიისა და ტექსტოლოგიის განყოფილება: მთავარი მეცნიერი თანამშრომელი - 1 (ერთი) საშტატო ერთეული; მეცნიერი თანამშრომელი (ნახევარი განაკვეთი)- 1(ერთი) საშტატო ერთეული; საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვროს ამ ბრძანების დანართი 1-ის შესაბამისად;

ბ) ფონდების დაცვის,აღრიცხვისა და ექსპონირების დეპარტამენტი: უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - 1 (ერთი) საშტატო ერთეული, მეცნიერი თანამშრომელი - 1 (ერთი) საშტატო ერთეული; საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვროს ამ ბრძანების დანართი 2-ის შესაბამისად.

გ) სამეცნიერო ბიბლიოგრაფიის, ტერმინოლოგიისა და საცნობარო ლიტერატურის განყოფილება: მეცნიერი თანამშრომელი (ნახევარი განაკვეთი)- 1(ერთი) საშტატო ერთეული; საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვროს ამ ბრძანების დანართი 3-ის შესაბამისად;

დ) სამეცნიერო-ანალიტიკური და საგამომცემლო-სარედაქციო განყოფილება: მეცნიერი თანამშრომელი (ნახევარი განაკვეთი)- 1(ერთი) საშტატო ერთეული; საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვროს ამ ბრძანების დანართი 4-ის შესაბამისად;

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის ჩატარებისა და კანდიდატების შერჩევის მიზნით შეიქმნას საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) **თამარ აბულაძე** - ცენტრის ფონდების დაცვის, აღრიცხვისა და ექსპონირების დეპარტამენტის უფროსი, კომისიის თავმჯდომარე;

0193 თბილისი, მ. ალექსიძის ქ., № 1/3
0193 Tbilisi, M. Alexidze str., № 1/3
ტელ./Tel.: (995 32) 247-42-42
ფაქსი/Fax: (995 32) 236-32-41
www.manuscript.ge
info@manuscript.ac.ge

ბ) **აპოლონ თაბუაშვილი** -ცენტრის არქივმცოდნეობისა და ელექტრონული არქივის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) **მაია რაფავა** -ცენტრის კოდიკოლოგიისა და ტექსტოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე;

დ) **ზაზა ალექსიძე** -ცენტრის აღმოსავლური და სომხური ხელნაწერების განყოფილების უფროსი;

ე) **თამარ ოთხმეზური** -ცენტრის კოდიკოლოგიისა და ტექსტოლოგიის განყოფილების უფროსი;

ვ) **ნინო მელიქიშვილი** -ცენტრის კოდიკოლოგიისა და ტექსტოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;

ზ) **ეთერ ქავთარაძე** -ცენტრის არქივმცოდნეობისა და ელექტრონული არქივის განყოფილების უფროსი;

თ) **ენრიკო გაბიძაშვილი** -ცენტრის სამეცნიერო ბიბლიოგრაფიის, ტერმინოლოგიისა და საცნობარო ლიტერატურის განყოფილების უფროსი;

ი) **მზია სურგულაძე** -ცენტრის წყაროთმცოდნეობისა და დიპლომატიკის განყოფილების უფროსი;

კ) **ნინო ქავთარია** -ცენტრის ხელოვნებათმცოდნეობის განყოფილების უფროსი;

ლ) **შალვა გლოველი** -ცენტრის სამეცნიერო-ანალიტიკური და საგამომცემლო-სარედაქციო განყოფილების უფროსი;

მ) **ლელა შათირიშვილი** -ცენტრის კოდიკოლოგიისა და ტექსტოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;

ნ) **თამარ ჭუმბურიძე** -ცენტრის არქივმცოდნეობისა და ელექტრონული არქივის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;

ო) **ხათუნა გორდეზიანი** -ცენტრის ადამიანური რესურსების მართვისა და მონიტორინგის კოორდინატორი, კომისიის მდივანი (ხმის უფლების გარეშე).

3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის ჩატარების წესი განისაზღვროს ამ ბრძანების დანართი 5-ის შესაბამისად;

4. სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად კონკურსში მონაწილე კანდიდატთა მიერ ცენტრში წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა განისაზღვროს ამ ბრძანების დანართი 6-ის შესაბამისად;

5. სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად კონკურსში მონაწილე კანდიდატთა მიერ ცენტრში წარმოსადგენი საკონკურსო განაცხადის ფორმა განისაზღვროს ამ ბრძანების დანართი 7-ის შესაბამისად;

6. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსი განისაზღვროს ორ ეტაპად:

ა) განცხადებების გადარჩევა;

ბ) გასაუბრება.

6. საბუთების მიღება იწარმოებს 2020 წლის 26 მარტიდან 8 აპრილის ჩათვლით 12:00 სთ-დან 17:00 საათამდე ცენტრის საქმისწარმოების სამსახურში მისამართზე: თბილისი, მ. ალექსიძის ქ. № 1/3 .

7. საბუთების გადარჩევის დღედ განისაზღვროს 2020 წლის 13-14 აპრილი.

8. გასაუბრების ჩატარების დღედ განისაზღვროს 2020 წლის 15-16 აპრილი 14.00 სთ.

9. კონკურსის შედეგები გამოცხადდეს არაუგვიანეს 2020 წლის 27 აპრილისა.

10. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის, პოპულარიზაციისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განყოფილების კოორდინატორს (მ.ჯაბიძე) ამ ბრძანებით გათვალისწინებული სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებელი კონკურსის ჩატარების თარიღის და დამატებითი პირობების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.manuscript.ge) გამოქვეყნება;

11. დაევალოს საქმისწარმოების სამსახურს ამ ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის;

12. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

დირექტორი **ზაალ აბაშიძე**